თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი 29 ივლისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი,

გელა მშვენიერაძე - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში რუსთაველის მე-8 ჩიხში და ოცხელის ქუჩაზე გზის საფარის, ხოლო ჭონქაძის ქუჩაზე გზის საფარის, კანალიზაციის, სასმელი წყლის სისტემის და ღვარსადენის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების ფასი 3100 ლარი) შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა გელა მშვეირაძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის - ქალაქ ქუთაისში რუსთაველის მე-8 ჩიხში და ოცხელის ქუჩაზე გზის საფარის, ხოლო ჭონქაძის ქუჩაზე გზის საფარის, კანალიზაციის, სასმელი წყლის სისტემის და ღვარსადენის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (საკონკურსო წინადადების ფასი 3100 ლარი) შესახებ.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრებმა: კახაბერ დალაქიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში რუსთაველის მე-8 ჩიხში და ოცხელის ქუჩაზე გზის საფარის, ხოლო ჭონქაძის ქუჩაზე გზის საფარის, კანალიზაციის, სასმელი წყლის სისტემის და ღვარსადენის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო

შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2013 წლის 2 აგვისტოს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 2 აგვისტოს 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს თვითმმართველი ქალაქის–ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

კახაბერ დალაქიშვილი

გელა მშვენიერაძე

ირაკლი გიორგაძე